დანართი I

პროექტის აღწერა

1. პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე გარემოს, ეკონომიკისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება პროექტის საერთო მიზანს წარმოადგენს. პროექტის მოსალოდნელი შედეგებია პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მომსახურებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.
2. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ნაწილი **A:** <u>პროექტის დაფინანსების საშუალება</u>

მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის სახსრების გამოყოფა იმ ქვეპროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც გაზრდის საქალაქო ტრანსპორტის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, მყარი ნარჩენების გადამუშავების, გზების, ქუჩების განათების, საგზაო მოძრაობის რეგულირების და სხვა მუნიციპალური მომსახურებისა და საქონლის ეფექტურობას, ხარისხს, მოქმედების სფეროსა და საიმედოობას.

ნაწილი **B:** <u>პროექტის მართვა და შესაძლებლობათა</u> <u>განვითარება</u>

(ა) მუნიციპალური მთავრობების პერსონალისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების, საინჟინრო, საპროექტო, გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა მსგავსი კვლევების ჩატრებისა და შეფასების შესაძლებლობათა განვითარება.

(ბ) პროექტის მართვის შესაძლებლობათა განვითარება მუნიციპალურ დონეზე;

(გ) მუნიციპალური განვითარების ფონდის შიგნით კორპორაციული და ბიზნეს დაგეგმვის გაუმჯობესება, ფონდის თანამშრომელთა ტრეინინგის ჩატარება და ფონდის მიერ კვლევების ჩატარების შესაძლებლობათა განვითარება

3. პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღია 2013 წლის 31 დეკემბერი.